საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-12/13913
09/12/2020

13913-2-12-2-202012091538

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

მიმდინარე წლის 4 დეკემბრის №11454/01 წერილის, პასუხად რომელიც ეხება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბორჯომი-ბაკურიანი-ახალქალაქის საავტომობილო გზის კმ 31-ზე, მდინარე წყაროზე არსებული სახიდე გადასასვლელის ნაცვლად ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობის პროექტის ფარგლებში მომზადებულ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე დამატებით წარსადგენ დოკუმენტაციას, გიგზავნით საპროექტო ხიდის ხაზობრივ „shp“ ფაილს და მუშა ნახაზს Auto Cad-ის სახით და აქვე გაცნობებთ, რომ პროექტით გათვალისწინებული არ არის ფუჭი ქაანების სანაყაროს მოწყობა, ვინაიდან მოხდება გრუნტის დამუშავება და გამოყენება მისასვლელი გზების ყრილის მოსაწყობად საერთო რაოდენობით 100 $მ^3$.

გამომდინარე იქედან, რომ არსებულ ხიდზე თანამედროვე გაზრდილმა სატრანსპორტო დატვირთვებმა მოახდინა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მზიდ კონსტრუქციებზე და შეიმჩნევა რღვევის ნიშნები (ჩამომტვრეულია კიდეები, გაჩენილია ბზარები) და ხიდის არცერთი პარამეტრი გაბარიტი, მზიდუნარიანობა და ძირითადი მზიდი კონსტრუქციების სახეობები არ აკმაყოფილებს კაპიტალური ხიდებისადმი წაყენებულ მოძრაობის უსაფრთხოების მოქმედი ნორმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შესაბამისად ის საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს და ადგილობრივ მოსახლეობას ამჟამად არსებული მდგომარეობის გამო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გიგზავნით გზშ-ს განახლებულ დოკუმენტაციას და პროექტის მაღალ საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე გთხოვთ, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული ვადების დაცვით გააგრძელოთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შეჩერებული ადმინისტრაციული წარმოება.

დანართი: გზშ-ს ანგარიში - ნაბეჭდი ვერსია 1 ეგზ და ელ. ვერსია 1 დისკი;
არატექნიკური რეზიუმე ნაბეჭდი ვერსია 1 ეგზ.

პატივისცემით,

ალექსანდრე თევდორაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge